**Responding to COVID-19: BRITACOM PERSPECTIVE, 2 June 2020**

**Script of speech**

**Mr. Levan KAKAVA, Director General, Georgia Revenue Service**

ბატონო ვენგ, ძვირფასო ღონისძიების მონაწილეებო, მაქვს პატივი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სახელით მოგესალმოთ და მადლობა გადაგიხადოთ ამ შეხვედრის ორგანიზებისთვის და შესაძლებლობისთვის, ერთმანეთს გავუზიაროთ ძალიან ღირებული გამოცდილება, იმასთან დაკავშირებით თუ მასშტაბური კრიზისის პირობებში როგორ უნდა მოხდეს საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტური მართვა და კრიზისის შემდგომი პერიოდის მაქსიმალურად შემსუბუქება.

როგორც მოგეხსენებათ, ზოგადად ჩვენი ქვეყანა აქტიურადაა ჩართული სარტყელი და გზის ინიციატივებში ყველა

BRITACOM

მიმართულებით და ლოგიკურია ის, რომ საქართველოს საგადასახადო ადმინისტრაცია წარმოადგენს ბრიტაკომის დამფუძნებელ წევრს, სამწუხაროა რომ შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე საშუალება არ მოგვეცა პირადად დავსწრებოდით ბრიტაკომის წლიურ კონფერენციას ყაზახეთში.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო გაძლიერდება და გაფართოვდება და შეასრულებს თავის უნიკალურ როლს საერთაშორისო საგადასახადო არენაზე, ამის კარგი მაგალითი დღევანდელი შეხვედრაა. ჩემთვის, როგორც შემოსავლების სამსახურის შედარებით ახალბედა ხელმძღვანელისთვის, ორმაგი პატივია ასეთი წარმომადგენლობითი საზოგადოების რიგებში ყოფნა და ყველასათვის აქტუალურ

BRITACOM

და საჭირბოროტო თემებზე მსჯელობა. მიზეზი, რამაც ჩვენ ამ ვირტუალურ შეხვედრაზე შეგვკრიბა, არის COVID-19 და მასზე საპასუხო ქმედებები.

ეპიდემიით გამოწვეული ადამიანური დანაკარგი შეუფასებელია და ვსარგებლობ რა აღნიშნული შემთხვევით, მინდა ყველას მივუსამძიმრო იმ დაღუპული თანამოქალქეებისთვის, ვინც ეპიდემიის მსხვერპლი გახდა. გამონაკლისი არც საქართველო იყო, ჩვენი 12 თანამოქალაქე იმსხვერპლა ვირუსმა, თუმცა აქვე არ შემიძლია სიამაყით არ ავღნიშნო ის, ფაქტიც რომ, რომ არა ჩვენი მთავრობის და საზოგადოების მყისიერი რეაგირება ეპიდემიის პირველივე ნიშნებზე, და მაღალი სამოქალაქო თვითშეგნება, დღეს აღნიშნული რიცხვი ბევრად მეტი იქნებოდა. ინფორმაციისთვის მოგახსენებთ, რომ

BRITACOM

დღეის მდგომარეობით დადასტურებულის ინფიცირების 757 შემთხვევა, აქედან 600 გამოჯანმრთელდა, ხოლო გარდაცვლილთა რიცხვი, როგორც უკვე ავღნიშნე 12-ს შეადგენს. რაც შეეხება ყოველდღიურად მომართვიანობის სტატისტიკას, მისი რიცხვი საშუალოდ 10-ის ფარგლებში მერყეობს.

მიუხედავად ბევრი წართმეული სიცოცხლისა და შელახული ჯანმრთელობისა, ჩვენი, როგორც საგადასახადო ადმინისტრაციების წარმომადგენლების ვალია ვიფიქროთ ჩვენი ქვეყნის მომავალზე, ხვალინდელ დღეზე და იმ სირთულეებზე რისი დაძლევაც მოუწევთ ჩვენს სახელმწიფოებს კრიზისის შემდგომ პერიოდში და მაქსიმალურად დავეხმაროთ მათ ამ სირთულეების მსუბუქად და მოქალაქეებისთვის უმტკივნეულოდ გადატანაში. ამ კონტექსტში მინდა

BRITACOM

აუცილებლად ავღნიშნო და მადლობა გადავუხადო ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებს, რომლებიც ყველა შესაძლო საშუალებით გვეხმარებიან კრიზისიდან უმტკივნეულოდ გამოსვლაში და ეპიდემიის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრაში.

მინდა ჩემი გამოსვლა გავაგრძელო ჩვენი შეხვედრის მთავარი თემით, კერძოდ იმ ზომების და ღონისძიებების გაცნობით, რომლებიც გატარდა ჩვენი სამსახურის მიერ, როგორც COVID-19-ზე და მის შედეგებზე საპასუხო ქმედება და მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლების სამსახური წარმოადგენს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციების გაერთიანებას, აქცენტს გავაკეთებ უმეტესად საგადასახადო მიმართულებით გატარებულ ზომებზე.

BRITACOM

(შემდეგი სლაიდი თუ შეიძლება), მაშ ასე,

ეპიდემიის გამოცხადების პირველივე დღიდან ჩვენ დავიწყეთ ფიქრი მუშაობის ახალ რეჟიმზე გადასასვლელად, ისე, რომ ერთის მხრივ არ მომხდარიყო ბიზნეს პროცესის შეჩერება და მეორეს მხრივ, დაცული ყოფილიყო, როგორც გადამხდელების, ისე თანამშრომლების უსაფრთხოება, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის და საქართველოს მთავრობის რეკომენდაციების შესაბამისად. აღნიშნული მიზნით ჩვენს მიერ მოხდა თანამშრომლების დიდი ნაწილის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადაყვანა. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხო სერვის ცენტრების, საინფორმაციო სატელეფონო ცენტრების და სხვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას; ოფისები აღიჭურვა სათანადო ტექნიკური და

BRITACOM

სადეზინფექციო საშუალებებით; სერვის ცენტრებში გადამხდელთა მომართვიანობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, არსებულ 180-მდე ელექტრონულ მომსახურებას დაემატა კიდევ 20; მომართვიანობის გაზრდის პარარელურად,დამატებითი თანამშრომლები დაემატა სატელეფონო ცენტრს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, რომელთა ფუნქციასაც გადამხდელთან ელექტრონული და დისტანციური კომუნიკაცია წარმოადგენს. აქტიურად ამოქმედდა სმს და ელექტრონული ფოსტით შეტყობინებების რეალურ რეჟიმში გაგზავნის სერვისი; სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსდა სიტუაციური სახელმძღვანელოები, ვიდეო რგოლები, რომელშიც აღწერილია სხვადასხვა საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებით სამსახურთან

BRITACOM

კომუნიკაციის საშუალებები და ფორმები, გადასახადების ადმინისტრირების საგანგებო რეჟიმის მოქმედების წესები და სხვა.

(შემდეგი სლაიდი გთხოვთ) რასაკვირველია COVID-19-ით გამოწვეულმა შეფერხებებმა, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ნორმალურ ფუნქციონირებაში, დიდი ფინანსური ზიანი მიაყენა ჩვენს გადამხდელებს და ფულადი ნაკადების შემცირების გამო შეუძლებელი გახადა საგადასახადო ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება. შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით ჩვენს მიერ შემოღებულ იქნა რიგი დაშვებებისა და შეღავათებისა სწორედ ადმინისტრირების პროცესის გამარტივების მიზნით. კერძოდ, ყველა გადასახადის გადამხდელს, რომელიც დაზარალდა პანდემიის შედეგად,

BRITACOM

გადაუვადდა საშემოსავლო და ქონების გადასახადების გადახდის პერიოდი; ნაწილობრივ შეჩერებულ იქნა საგადასახადო შემოწმების და გადასახადების გადახდევინების პროცედურები; ბიზნესში მეტი ფულის მოხვედრის მიზნით გამარტივდა დღგ-ის ავტომატური დაბრუნების პროცედურა; დაინერგა „საგადასახადო დავების ელექტრონული პლატფორმა", რომლის მეშვეობით გადასახადის გადამხდელებს შესაძლებლობა ეძლევათ დავის განმხილველ სხდომაში მონაწილეობა მიიღონ დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.

(შემდეგი სლაიდი თუ შეიძლება) ამოქმედდა შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა COVID-19-ით დაზარალებული სექტორებისთვის,

კერძოდ: დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდა COVID-19-ის პირობებში კრიტიკულად მნიშვნელოვანი სამედიცინო დანიშნულების ნივთები; ტურიზმის სექტორი, როგორც ყველაზე დაზარალებული სექტორი, 2020 წლის პერიოდისთვის მთლიანად გათავისუფლდა ქონების გადასახადის გადახდისგან; საგადასახადო შეღავათი დაწესდა იმ ფიზიკური პირებისთვის, რომელთა ხელფასი არ აღემატება 1500 ლარს. 2020 წლის 1 მაისიდან, 6 თვის განმავლობაში ისინი გათავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან მისაღები თანხის მაქსიმუმ 750 ლარზე; იდენტიფიცირებად თვითდასაქმებულ პირებზე, ვინც დაკარგა შემოსავლის წყარო შექმნილი სიტუაციის გამო, გაიცემა ერთჯერადი კომპენსაცია 300 ლარის ოდენობით, ხოლო იმათზე, ვინც

BRITACOM

დაკარგა სამსახური კომპენსაციის სახით 6 თვის განმავლობაში ჯამში 1200 ლარის ოდენობის დახმარება გაიცა.

(შემდეგი სლაიდი) აღსანიშნავია, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირველივე დღიდან შემოსავლების სამსახური აქტიურად არის ჩართული მთავრობის მიერ დადგენილი შეზღუდვების აღსრულების მონიტორინგის პროცესში. ასევე სამთავრობოკომპენსაციის მიმღები პირების იდენტიფიცირების პროცესში. მოგახსენებთ, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოში COVID-19-თან დაკავშირებით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა გაუქმებულია, ხოლო 1ივნისიდან უმრავლესი ორგანიზაცია-დაწესებულება, ჩვენი ადმინისტრაციის ჩათვლით, დაუბრუნდა მუშაობის ჩვეულ რეჟიმს. ვიმედოვნებ, რომ

BRITACOM

უახლოეს მომავალში სიტუაცია დასტაბილურდება მთელს მსოფლიოში და ჩვენ მალე მოგვეცემა პირისპირ შეხვედრის და გაცნობის შესაძლებლობა.

მადლობა!

BRITACOM